

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	10
4. ამონაგები	12
5. კომერციული ხარჯები	12
6. ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ძირითადი საშუალებები.....	12
8. მარაგები	13
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	13
12. პირობითი ვალდებულებები	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	14
14. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	14
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	16
16. მმართველობის ანგარიშგება	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს ლიდერ-ფუდის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს ლიდერ-ფუდის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, 2022 წელს მაღაზიების დახურვის შედეგად შეწყდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობა და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე, ნაცვლად ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლისა. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებაზე, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,575,330 ლარს. დამატებით, ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები და ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების საწყის ნაშთზე, რომლის საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,949,680 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღები წინ უსწრებდა ჩვენი აუდიტორად დანიშვნის თარიღს. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 792,694 და 3,664,330 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ხელფასის ხარჯის შესაბამისი დოკუმენტები 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ხელფასის ხარჯი რაც კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია შესაბამისად 1,448,147 და 511,641 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საწესდებო კაპიტალის ფორმირების შესაბამისი დოკუმენტები 2021 და 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება საწესდებო კაპიტალზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 5,791,777 და 5,791,777 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საწესდებო კაპიტალთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს განმარტებულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ჩვენ ვერ მივიღეთ იურისტის წერილი კომპანიის სასამართლო დავებზე და ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები პირობით ვალდებულებებზე და ანარიცხებზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ანარიცხებთან, პირობით ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაზე, მათ შორის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებზე. შედეგად, ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესადარის ინფორმაციასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს ლიდერ-ფუდის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 21 აპრილს გასცა მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის – „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 დეკემბერი 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს ლიდერ-ფუდის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს ლიდერ-ფუდის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, 2022 წელს მაღაზიების დახურვის შედეგად შეწყდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობა და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე, ნაცვლად ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლისა. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებაზე, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,575,330 ლარს. დამატებით, ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები და ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების საწყის ნაშთზე, რომლის საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,949,680 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღები წინ უსწრებდა ჩვენი აუდიტორად დანიშვნის თარიღს. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 792,694 და 3,664,330 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ხელფასის ხარჯის შესაბამისი დოკუმენტები 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ხელფასის ხარჯი რაც კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია შესაბამისად 1,448,147 და 511,641 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საწესდებო კაპიტალის ფორმირების შესაბამისი დოკუმენტები 2021 და 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება საწესდებო კაპიტალზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 5,791,777 და 5,791,777 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები საწესდებო კაპიტალთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს განმარტებულია მე-12 განმარტებით შენიშვნაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ჩვენ ვერ მივიღეთ იურისტის წერილი კომპანიის სასამართლო დავებზე და ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები პირობით ვალდებულებებზე და ანარიცხებზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ანარიცხებთან, პირობით ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაზე, მათ შორის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებზე. შედეგად, ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესადარის ინფორმაციასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს ლიდერ-ფუდის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 21 აპრილს გასცა მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 დეკემბერი 2022

შპს ლიდერ-ფუდი**მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 შესწორებული
ამონაგები	4	18,873,360	29,457,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(15,164,501)	(23,833,437)
საერთო მოგება		3,708,859	5,623,976
მიწოდების ხარჯები	5	(5,762,755)	(6,239,706)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,672,608)	(793,402)
მოთხოვნების გაუფასურება		(293,646)	-
საოპერაციო ზარალი		(4,020,150)	(1,409,132)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სრული ზარალი		(4,020,150)	(1,409,132)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 23 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

შირიმი ვეკუა

* კომპანიამ გადაიანგარიშა წინა პერიოდის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, დეტალურად განმარტებულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

შპს ლიდერ-ფუდი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 შესწორებული
ამონაგები	4	18,873,360	29,457,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(15,164,501)	(23,833,437)
საერთო მოგება		3,708,859	5,623,976
მიწოდების ხარჯები	5	(5,762,755)	(6,239,706)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,672,608)	(793,402)
მოთხოვნების გაუფასურება		(293,646)	-
საოპერაციო ზარალი		(4,020,150)	(1,409,132)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სრული ზარალი		(4,020,150)	(1,409,132)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 23 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



შირიმი ვეკუა

* კომპანიამ გადაიანგარიშა წინა პერიოდის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, დეტალურად განმარტებულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 შესწორებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	-	2,949,680
არამატერიალური აქტივები		-	85,485
		-	3,035,165
მოკლევადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,575,330	-
მარაგები	8	792,694	3,664,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	266,542	739,050
საგადასახადო აქტივი		-	249,850
ფული და ფულის ეკვივალენტები		121,967	215,799
		1,181,203	4,869,029
სულ აქტივები		2,756,533	7,904,194
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,791,777	5,791,777
დაგროვილი ზარალი		(9,198,560)	(5,178,410)
		(3,406,783)	613,367
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	6,163,316	7,290,827
		6,163,316	7,290,827
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,756,533	7,904,194

* კომპანიამ გადაიანგარიშა წინა პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, დეტალურად განმარტებულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

შპს ლიდერ-ფუდი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	5,791,777	(3,150,472)	2,641,305
წინა პერიოდის შესწორება	-	(618,806)	(618,806)
2019 წლის 31 დეკემბერი - შესწორებული	5,791,777	(3,769,278)	2,022,499
სრული ზარალი	-	(1,409,132)	(1,409,132)
2020 წლის 31 დეკემბერი - შესწორებული	5,791,777	(5,178,410)	613,367
სრული ზარალი	-	(4,020,150)	(4,020,150)
2021 წლის 31 დეკემბერი	5,791,777	(9,198,560)	(3,406,783)

შპს ლიდერ-ფუდი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(4,020,150)	(1,409,132)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		400,486	790,942
მოთხოვნების გაუფასურება	9	293,646	-
არამატერიალური აქტივის შესწორება სალიკვიდაციო ღირებულებამდე	6	66,618	-
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		812,160	3,470
		(2,447,240)	(614,720)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების (ზრდა)/კლება		2,871,636	(1,086,213)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		386,179	(455,651)
საგადასახადო აქტივის (ზრდა)/შემცირება		249,850	(37,759)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(1,066,099)	2,733,325
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(5,674)	538,982
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(88,158)	(1,054,072)
არამატერიალური აქტივის შეძენა		-	(18,629)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(88,158)	(1,072,701)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
დამფუძნებლისგან სესხის მიღება		-	300,000
დამფუძნებლის სესხის დაფარვა		-	(300,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(93,832)	(533,719)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		215,799	749,518
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		121,967	215,799

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიდერ-ფუდი“ ყოფილი შპს „ეკონმიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჩეხოვის ქ., №23/22.

შპს „ლიდერ-ფუდი“ არის ძირითადი სასურსათო და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო ვაჭრობის მარკეტების ქსელური კომპანია. კომპანია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვებს ახორციელებდა 19 და 32 სუპერმარკეტის ტიპის მაღაზიების მეშვეობით. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დახურა მაღაზიები და შეწყვიტა აქტიური საოპერაციო საქმიანობა.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს ლიდერ-ფუდი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ დავით ზეიკიძე 50% და ირაკლი დუმბაძე 50% (2020 წლის 31 დეკემბერი : დავით ზეიკიძე 100%)

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესწორებულია წმინდა სალიკვიდაციო ღირებულებამდე, რადგანაც ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო გამოუყენებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, თუ მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. ხელმძღვანელობამ განახორციელა კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ლიკვიდაცია 2022 წელს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

შპს ლიდერ-ფუდი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 19 გაყიდვის წერტილს. 2022 წელს კომპანიამ დახურა ყველა მაღაზია, გაყიდა ძირითადი საშუალებების არსებითი ნაწილი, დახურვის მომენტში არსებული მარაგების ნაშთი დააბრუნა მომწოდებლებთან, დაფარა სავაჭრო ვალდებულებების არსებითი ნაწილი და მიიღო წმინდა სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი. 2022 წელს მაღაზიების დახურვის შედეგად შეწყდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობა. ხელმძღვანელობა არ გეგმავს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაგრძელებას რეორგანიზაციის ან/და არსებული მოდელის საფუძველზე. ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოიყენა წმინდა სარეალიზაციო ღირებულება შეფასების საფუძველად (იხილეთ შენიშვნა 3). ხელმძღვანელობის შეფასებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, გარდა არამატერიალური აქტივებისა, რომლის წმინდა სარეალიზაციო ღირებულება უახლოვდება ნულს. მომზადების საფუძვლის შესაბამისად ხელმძღვანელობამ ძირითადი საშუალებები წარადგინა მოკლევადიან აქტივებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.1 წმინდა სალიკვიდაციო ღირებულება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს საქმიანობის დახურვის შემთხვევაში შეფასებით გასაყიდი ფასს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასებისთვის ხელმძღვანელობამ გამოიყენა:

- **ფინანსური ინსტრუმენტებისთვის:** მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მოკლევადიანობიდან გამომდინარე.
- **მარაგებისთვის:** საბითუმო გაყიდვის ფასი, რომელიც უტოლდება მარაგების შესყიდვის ფასს. ხელმძღვანელობა გონივრულად მიიჩნევს საბითუმო გასაყიდი ფასის გამოყენებას მარაგების შეფასებისთვის, რადგანაც საქმიანობის დახურვის შემთხვევაში მარაგების რეალიზაცია ხორციელდება ერთობლივი მიწოდების საფუძველზე. საბითუმო ფასი თავის თავში ასახავს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებით დანახარჯებს.
- **ძირითადი საშუალებებისთვის:** გასაყიდი ფასი გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. ხელმძღვანელობის შეფასებით ძირითადი საშუალებების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.
- **არამატერიალური აქტივებისთვის:** გასაყიდი ფასი გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არამატერიალური აქტივების გაყიდვა არ არის შესაძლებელი და მისი წმინდა სარეალიზაციო ღირებულება უახლოვდება ნულს.
- **სხვა აქტივები და ვალდებულებები :** მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში და ვალდებულებებში წარდგენილ არაფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობის შეფასებით მათი წმინდა სარეალიზაციო ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას და წარმოადგენს არაარსებით ფინანსური ანგარიშგებისთვის.

შეფასების პროცესთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები რელევანტურია შესადარისი პერიოდისთვის.

3.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.3 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ამონაგები

	2021	2020
საკვები პროდუქციის რეალიზაცია	10,683,298	17,674,448
არასაკვები პროდუქციის რეალიზაცია	8,190,062	11,782,965
სულ	18,873,360	29,457,413

5. კომერციული ხარჯები

	2021	2020
საიჯარო ქირა	(2,549,235)	(2,612,658)
ხელფასის ხარჯი	(1,448,147)	(1,589,334)
კომუნალური ხარჯი	(917,335)	(754,860)
ცვეთა და ამორტიზაცია	(400,486)	(790,942)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(107,206)	(152,218)
კომუნიკაციის ხარჯი	(54,303)	(47,503)
სხვა ხარჯი	(286,043)	(292,191)
სულ	(5,762,755)	(6,239,706)

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(511,641)	(655,862)
საგადასახადო ხარჯი	(72,469)	(19,765)
საიჯარო ქირა	(47,458)	(45,732)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(33,462)	(11,770)
სხვა ხარჯი	(128,800)	(56,803)
სულ	(793,830)	(789,932)
ზარალი ძირითადი საშუალების გაუფასურებიდან და გასვლიდან	(812,160)	(3,470)
სულ	(1,672,608)	(793,402)

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მარკეტების ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
1.1.2020	1,862,896	881,149	39,261	1,098,993	3,882,299
შემოსვლა	975,470	17,887	-	171,340	1,164,697
გასვლა	(3,194)	-	-	(276)	(3,470)
31.12.2020	2,835,172	899,036	39,261	1,270,057	5,043,526
შემოსვლა	14,384	9,091	-	3,271	26,746
გასვლა	(1,450,975)	(199,984)	-	(618,709)	(2,269,668)
31.12.2021	1,398,581	708,143	39,261	654,619	2,800,604
დაგროვილი ცვეთა					
1.1.2020	(761,386)	(330,149)	(10,728)	(217,582)	(1,319,845)
ცვეთა	(605,956)	(17,394)	(7,780)	(142,871)	(774,001)
გასვლა	-	-	-	-	-
31.12.2020	(1,367,342)	(347,543)	(18,508)	(360,453)	(2,093,846)
ცვეთა	(161,382)	(126,049)	(7,915)	(86,273)	(381,619)
გასვლა	971,971	66,549	-	211,671	1,250,191
31.12.2021	(556,753)	(407,043)	(26,423)	(235,055)	(1,225,274)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2020	1,467,830	551,493	20,753	909,604	2,949,680
31.12.2021	841,828	301,100	12,838	419,564	1,575,330

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. მარაგები

	2021	2020
სარეალიზაციო საქონელი	770,487	3,599,723
სხვა	22,207	64,607
ჯამი	792,694	3,664,330

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
მოთხოვნები პროდუქციის მომწოდებლებიდან	245,689	577,818
პროდუქციის მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	59,891	21,028
სხვა მოთხოვნები	346,809	134,438
ფინანსური მოთხოვნები	652,389	733,284
გაუფასურების რეზერვი	(424,908)	(131,603)
წმინდა მოთხოვნები	227,481	601,681
გადახდილი ავანსები	28,426	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	10,635	137,369
არაფინანსური მოთხოვნები	39,061	137,369
სულ:	266,542	739,050

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აჯგუფებს მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების რეზერვი ჯგუფურად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის წარსული საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
პროდუქციის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	5,592,706	6,945,508
საიჯარო ვალდებულება	447,234	101,419
სახელფასო ვალდებულება	49,684	101,419
სხვა ვალდებულება	61,257	142,481
სულ ფინანსური ვალდებულება	6,150,881	7,290,827
საგადასახადო ვალდებულება	12,435	-
სულ	6,163,316	7,290,827

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს უმაღლეს ხელმძღვანელობას, დედა კომპანიას და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ცხრილი გვიჩვენებს ნაშთებს და ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	2021			2020		
	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ	დედა კომპანია	საერთო კონტროლი	სულ
ნაშთები						
სავაჭრო მოთხოვნები	-	220,179	220,179	-	4,973	4,973
გაუფასურების რეზერვი	-	(220,179)	(220,179)	-	-	-
წმინდა მოთხოვნები	-	-	-	-	4,973	4,973
სავაჭრო ვალდებულებები	1,447,569	290,283	1,737,852	(478,032)	(163,268)	(641,300)
ოპერაციები						
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	188,054	188,054			
მარაგების შესყიდვა	1,422,663	4,044	1,426,707			
საიჯარო ქირა	(47,797)	(151,535)	(199,332)			

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2021 წელს შეადგენს 123,560 ლარს.

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დახურა ყველა მაღაზია, გაყიდა ძირითადი საშუალებების არსებითი ნაწილი, დახურვის მომენტში არსებული მარაგების ნაშთი დააბრუნა მომწოდებლებთან, დაფარა სავაჭრო ვალდებულებების არსებითი ნაწილი და მიიღო წმინდა სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი. 2022 წელს მაღაზიების დახურვის შედეგად შეწყდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობა. გასული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,482,000 ლარს, რისთვისაც კომპანიამ მიიღო 3,850,000 ლარი.

14. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომა. შეცდომები უკავშირდებოდა არასწორ სააღრიცხვო პოლიტიკას. შესწორებული სააღრიცხვო პოლიტიკისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 15. ქვემოთ მოცემულია საკითხების ჩამონათვალი, რომელიც განაპირობებდა შეცდომებს სააღრიცხვო პოლიტიკაში.

- 1) მარაგები - კომპანია მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებით ამცირებდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას და არ ითვალისწინებდა, აღნიშნული მომწოდებლისგან შეძენილი საქონლის მარაგში დარჩენილ ნაწილს. გათვალისწინების შედეგად შემცირდა მარაგების საბალანსო ღირებულება და გაიზარდა დაგროვილი ზარალი
- 2) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც შესადარის პერიოდშიც გაუფასურებული იყო. გათვალისწინების შედეგად შემცირდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება და გაიზარდა დაგროვილი ზარალი.
- 3) საგადასახადო აქტივი - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ დააკორექტირება საგადასახადო ნაშთი, რის შედეგადაც შემცირდა საგადასახადო აქტივი და გაიზარდა დაგროვილი ზარალი.
- 4) ხარჯების განაწილება არ შეესაბამებოდა მათ ფუნქციებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს სააღრიცხვო შეცდომით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	შესწორება (4)	შესწორებული
ამონაგები	30,249,069	(791,656)	29,457,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24,094,548)	261,111	(23,833,437)
საერთო მოგება	6,154,521	(530,545)	5,623,976
მიწოდების ხარჯები	-	(6,239,706)	(6,239,706)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,219,387)	2,425,985	(793,402)
ცვეთა და ამორტიზაცია	(790,942)	790,942	-
შრომის ანაზღაურება	(2,512,212)	2,512,212	-
კომუნალური ხარჯები	(754,860)	754,860	-
სხვა საერთო ხარჯები	(19,765)	19,765	-
საოპერაციო ზარალი	(1,142,645)	(266,487)	(1,409,132)
არასაოპერაციო შემოსავლები	536,278	(536,278)	-
არასაოპერაციო ხარჯები	(802,765)	802,765	-
წმინდა ზარალი	(1,409,132)	-	(1,409,132)

შპს ლიდერ-ფუდი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს სააღრიცხვო შეცდომით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება (1:2:3)	შესწორებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,949,680	-	2,949,680
არამატერიალური აქტივები	85,485	-	85,485
	3,035,165	-	3,035,165
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	3,960,941	(296,611)	3,664,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	870,653	(131,603)	739,050
საგადასახადო აქტივი	440,442	(190,592)	249,850
ფული და ფულის ეკვივალენტები	215,799	-	215,799
	5,487,835	(618,806)	4,869,029
სულ აქტივები	8,523,000	(618,806)	7,904,194
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5,791,777	-	5,791,777
დაგროვილი ზარალი	(4,559,604)	(618,806)	(5,178,410)
	1,232,173	(618,806)	613,367
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,290,827	-	7,290,827
	7,290,827	-	7,290,827
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	8,523,000	(618,806)	7,904,194

წინა პერიოდის შესწორებებს არ ჰქონდა ეფექტი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებზე.

წინა პერიოდის შესწორებებს, გარდა ხარჯების არასწორი ფუნქციონალური განაწილებისა, არ ჰქონდა ეფექტი მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, გარდა ხარჯების ფუნქციონალური განაწილების.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს საქმიანობის დახურვის შემთხვევაში შეფასებით გასაყიდი ფასს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული მსჯელობები იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 3-ში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებისთვის ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია საწყისი ნაშთების აღრიცხვისთვის.

15.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.504
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

15.2 ამონაგები

კომპანიის ამონაგები ფორმირებულია გაყიდვის წერტილებიდან ფიზიკურ პირებზე საკვები და არასაკვები პროდუქციის რეალიზაციიდან. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

15.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	მომსახურების წელი
მარკეტების ინვენტარი	7-10
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარის კეთილმოწყობა	10

15.4 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის დაწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. საოპერაციო იჯარიდან მიღებული და გაცემული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი და ხარჯი წრფივი მეთოდით.

15.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

15.6 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

15.7 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

გაციდვის, გახარჯვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

15.8 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

15.9 ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

15.10 ფინანსური ინსტრუმენტები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, კომპანიამ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ასეთი ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებადი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც არ არის ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი და წარმოადგენს მიმდინარეს საწყისად აღიარება დაუდისკონტირებელი თანხის მოცულობით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას: (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას; (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები; (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშებზე).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

15.11 საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა და აღიარდება როგორც ვალდებულება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

15.12 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს ლიდერ-ფუდი

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. მმართველობის ანგარიშგება

16.1 საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ლიდერ-ფუდი“ (შემდგომში კომპანია) 2015 წლიდან გამოჩნდა ადგილობრივ ბაზარზე. სულ კომპანია ოპერირებდა 30-ზე მეტი ფილიალით, საიდანაც 6 ფილიალი მდებარეობდა რეგიონში. 2019 წლამდე კომპანია იყენებდა სავაჭრო ნიშანს „ეკონომიქსი“. კომპანიის კონცეფცია ამ პერიოდში იყო მისი ბრენდული დასახელების შესაფერისი, კერძოდ „ეკონომიქსი“ თავისი კონკურენტი ქსელური მარკეტებისგან გამოირჩეოდა შედარებით დაბალი ფასებით.



16.2 კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „ლიდერ-ფუდის“ საქმიანობას წარმოადგენდა სურსათითა და სხვა შერეული პროდუქციით ვაჭრობა მაღაზიათა ქსელის მეშვეობით. კომპანია სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2015 წლის 7 ოქტომბერს. კომპანიის დასახელებას წარმოადგენდა შპს „ეკონომიქსი“, დამფუძნებელი იყო ვიტალი ზეიკიძე (პ.ნ. 01011030730), ხოლო დირექტორი ია ბახტურიძე (პ.ნ. 01027041555).

მაღაზიების რაოდენობა წლების მიხედვით (წლის ბოლოსათვის):

2015 წელი - 3 მაღაზია;

2016 წელი - 7 მაღაზია;

2017 წელი - 9 მაღაზია;

2018 წელი - 10 მაღაზია.

2018 წლის 23 აგვისტოდან შპს „ეკონომიქსის“ 100%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს „ლიდერი-ფუდი“. 2019 წლის პირველი აპრილიდან კი კომპანიამ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და დაერქვა „ლიდერ-ფუდი“. ამავე პერიოდში მოხდა მისი სახელის ცვლილება სარეგისტრაციო მონაცემებში. ამავე პერიოდში მაღაზიათა ქსელმა შეიცვალა კონცეფცია, კერძოდ კომპანია ბაზარზე თავისი დამკვიდრებას ცდილობდა არა ხელმისაწვდომი ფასებით, არამედ მრავალფეროვანი არჩევანით.

წლების განმავლობაში გაიზარდა კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 320 თანამშრომელს, ხოლო 2020 წელს 240 თანამშრომელს. რაც შეეხება გენდერულ განაწილებას 2021 წელს, დასაქმებულთა 37 % წარმოადგენდა კაცებს, ხოლო 63% ქალებს შესაბამისად.

შპს ლიდერ-ფული

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16.3 ბრენდების მიმოხილვა

თავდაპირველად (სავაჭრო ნიშანი „ეკონომიქსით“ სარგებლობისას) კომპანია გამორჩეული იყო მომხმარებლისათვის შეთავაზებული დაბალი ფასებით, მან მალევე მოიპოვა მომხმარებლის კეთილგანწყობა.

სავაჭრო ნიშნის ცვლილების შემდეგ კომპანიამ დაიწყო სწრაფი განვითარება, გაიხსნა 20 ზე მეტი ახალი ფილიალი, თუმცა მაღალი კონკურენციისა და კოვიდ პანდემიის პირობებში კომპანიამ ვერ შეძლო განვითარების ტემპის შენარჩუნება.

16.4 ძირითადი ბაზრები

შპს „ლიდერ-ფული“ საქმიანობდა ადგილობრივ ბაზარზე, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

16.5 ბიზნეს მოდელი

შპს „ლიდერ-ფულის“ მაღაზიათა ქსელის მომწოდებლები იყვნენ ადგილობრივი მომწოდებლები (სადისტრიბუციო კომპანიები, საწარმოები და ა.შ), კომპანიას არ ჰქონია იმპორტის ოპერაციები. მაღაზიათა რაოდენობის ზრდისა და მომწოდებელთან ჩამოყალიბებული კარგი ურთიერთობის ხარჯზე კომპანია ახერხებდა წლიდან წლამდე უკეთესი კომერციული ხელშეკრულებები გაეფორმებინა მომწოდებლებთან.

2022 წლის აპრილის ბოლოს კომპანიამ ვეღარ შეძლო დაეფინანსებინა საკუთარი სახსრებით მიმდინარე ვალდებულებები და მოახდინა ყველა არსებული მაღაზიის გაყიდვა მომწოდებლების და კრედიტორების მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის მიზნით. შესაბამისად ამ პერიოდის შემდეგ კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა შეწყვიტა.

კომპანიას 2021 წლის ბოლოს ჰქონდა 19 მაღაზია რომლებმაც 2022 წელს სრულიად შეწყვიტა ოპერირება, მისი ინვენტარი კი არსებითად სრულიად გაიყიდა.

კომპანია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე არ ატარებდა კვლევებს ბიზნესის განვითარების მიზნით და შესაბამისად არც ჩაუტარებია თავისი ოპერირების განმავლობაში მსგავსი ტიპის ღონისძიებები.

16.6 ფინანსური ინფორმაცია

კომპანიას ფინანსური ანგარიშგება მომზადებული აქვს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. 2021 წლის განმავლობაში კომპანიის დაგროვილი ზარალი გაიზარდა 2021 წელს მიღებული ზარალით, რომელმაც შეადგინა (4,020,150) ლარი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2021	2020
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,575,330	3,035,165
მოკლევადიანი აქტივები	1,181,203	4,869,029
სულ კაპიტალი	(3,406,783)	613,367
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	6,163,316	7,290,827

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ საგრძნობლად შეამცირა ოპერაციები, 2020 წლის ბოლოს არსებული 32 მაღაზია შემცირდა 19 მაღაზიამდე, რასაც მოჰყვა როგორც დებიტორული ასევე კრედიტორული დავალიანებების შემცირება. მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან ორივე წელს არადაშვებელია. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია აღინიშნება 2021 წლის ბოლოსათვის როდესაც თანაფარდობა 0.67 დან 0.19 მდე მცირდებოდა.

	2021	2020
ამონაგები	18,873,360	29,457,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (შესყიდვის ფასით, ქეშბექის გარეშე)	(16,630,869)	(26,116,190)
%	-88%	-89%
ქეშბექი	1,466,368	2,282,753
საერთო მოგება	3,708,859	5,623,976
მარჟა	20%	19%
მიწოდების ხარჯები	(5,762,755)	(6,239,706)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,672,608)	(793,402)
მოთხოვნების გაუფასურება	(293,646)	-
საოპერაციო მოგება	(4,020,150)	(1,409,132)
%	-21%	-5%

შპს ლიდერ-ფუდი

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ოპერაციების მკვეთრმა შემცირებამ ძირითადად იმოქმედა კომპანიის ბრუნვის დაცემაზე. 2020 წელთან შედარებით შემოსავალი შემცირებულია -35,9%-ით. კომპანიამ შეძლო ამ საერთო მოგებასთან დაკავშირებული მარჯების შენარჩუნება, თუმცა ფიქსირებულმა ხარჯებმა კომპანია გაიყვანეს (4,020,149) ლარიან ზარალზე. შედეგად კომპანიამ 2022 წელს გადაწყვიტა ოპერაციების სრული შეჩერება.

16.7 ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შესაბამისად თავისი არსებობის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გამოშვება. რაც შეეხება წილის განაწილებას კომპანიის მფლობელობა წლების განმავლობაში განისაზღვრებოდა შემდეგნაირად:

დაარსებიდან 24/08/2018 მდე - 01011030730, ვიტალი ზეიკიძე 100%

24/08/2018 დან - მიმდინარე პერიოდის ჩათვლით - 206337052, შპს ლიდერი-ფუდი 100%

16.8. ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ ზარალს. კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 23 დეკემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შირიმი ვეკუა

შპს ლიდერ-ფუდი

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ოპერაციების მკვეთრმა შემცირებამ ძირითადად იმოქმედა კომპანიის ბრუნვის დაცემაზე. 2020 წელთან შედარებით შემოსავალი შემცირებულია -35,9%-ით. კომპანიამ შეძლო ამ საერთო მოგებასთან დაკავშირებული მარჯების შენარჩუნება, თუმცა ფიქსირებულმა ხარჯებმა კომპანია გაიყვანეს (4,020,149) ლარიან ზარალზე. შედეგად კომპანიამ 2022 წელს გადაწყვიტა ოპერაციების სრული შეჩერება.

16.7 ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შესაბამისად თავისი არსებობის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გამოშვება. რაც შეეხება წილის განაწილებას კომპანიის მფლობელობა წლების განმავლობაში განისაზღვრებოდა შემდეგნაირად:

დაარსებიდან 24/08/2018 მდე - 01011030730, ვიტალი ზეიკიძე 100%

24/08/2018 დან - მიმდინარე პერიოდის ჩათვლით - 206337052, შპს ლიდერი-ფუდი 100%

16.8. ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავლობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ ზარალს. კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 23 დეკემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შირიმი ვეკუა